შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

შესაბამისობის პოლიტიკა

მოცემული დოკუმენტი დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ: გიორგი აბრამიშვილი

2025

სარჩევი

შესავალი 2

მიზანი 2

შესაბამისობის მიზნები 2

მამხილებლის პოლიტიკა და დარღვევების მართვა 3

ინფორმაციული უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა 4

კიბერუსაფრთხოების ზომები 6

კონფიდენციალურობის სისტემები და პროცედურები 7

კლიენტების კონფიდენციალურობა და გარე დაინტერესებული მხარეების შესახებ ინფორმაციის დაცვა 7

მესამე მხარეებთან თანამშრომლობა და მონაცემთა დაცვა 8

შესაბამისობის პოლიტიკის ყოველწლიური გადახედვის პროცესი 9

შპს ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი
შესაბამისობის პოლიტიკა

შესავალი

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ (AGD) დაარსდა 2013 წლის ივნისში, რომელიც ფლობს და ახორციელებს ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს საქართველოში. კომპანიამ, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ლახამზე, განავითარა ლახამი ჰესების კასკადი, რომელიც მოიცავს ლახამი 1 და ლახამი 2 ჰიდროელექტროსადგურებს. ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე სადგურების საერთო დადგმული სიმძლავრე შეადგენს ჯამში 16 მეგავატს და წლიურად საშუალოდ 80 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. ლახამი ჰესები დაკავშირებულია ეროვნულ ქსელთან 35/6 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით.

„ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს თანამფლობელები არიან: შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III – კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი (CCEH), რომელიც არის საერთაშორისო საინვესტიციო ჰოლდინგური კომპანია, დაარსებული 2015 წელს, დასავლური ინვესტორების მონაწილეობით, და აქტიურად არის ჩართული საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში.

შპს ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი - რომელიც დაარსდა 2013 წელს და სპეციალიზდება საქართველოში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების განვითარებაზე. შპს ენერჯი სოლუშენსი – რომელიც დაარსდა 2014 წელს, ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და განვითარებაზე, ასევე ჰიდროენერგეტიკის სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე.

მიზანი

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ მოწოდებულია წარმართოს თავისი საქმიანობა მოქმედი ქართული და შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის სრული დაცვით. მოცემული შესაბამისობის პოლიტიკა აყალიბებს ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს ეთიკური ქცევის უზრუნველსაყოფად, გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და ოპერირების ყველა არეალში, რისკების შესამცირებლად. მოცემული პოლიტიკის დოკუმენტი განკუთვნილია კომპანიის თითოეული თანამშრომლისთვის, კონტრაქტორებისთვის და მესამე მხარის კომპანიებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს ქცევის კოდექსი შეეხება ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა მამხილებლის მექანიზმები, ანტიკორუფციული ზომები და მონაცემთა დაცვა, მოცემული შესაბამისობის პოლიტიკა ქმნის დამატებით სიცხადესა და სტრუქტურას, რაც ხელს უწყობს ამ საკითხების უფრო ეფექტიან განხორციელებას.

შესაბამისობის მიზნები

შპს “ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი”-ს შესაბამისობის პოლიტიკა მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს საფუძველი ეთიკური, კანონიერი და გამჭვირვალე ქცევისთვის ორგანიზაციის ყველა დონეზე. მოცემული პოლიტიკის დოკუმენტი განკუთვნილია იმისათვის, რომ:

- ორგანიზაციულ დონეზე ჩამოაყალიბოს ეთიკის კულტურა, რაც ეფუძნება კეთილსინდისიერებას, პასუხისმგებლობასა და სამართლიანობას;
- უზრუნველყოს შპს “ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი”-ს საქმიანობის შესაბამისობა ეროვნულ და საერთაშორისო რეგულაციებთან, დარგობრივ სტანდარტებთან და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ჩარჩოებთან;
- გაუმჯობესოს უსაფრთხო, საიმედო და კონფიდენციალობის პრინციპებზე დაფუძნებული შიდა მექანიზმები დარღვევების და ეთიკური რისკების შესამცირებლად;
- დაიცვას პერსონალური მონაცემები და განახორციელოს შესაბამისი კიბერ-უსაფრთხოების ზომები ინფორმაციული და ტექნოლოგიური რისკების შესამცირებლად;
- გაუმჯობესოს გამჭვირვალობა, ანტიკორუფციული კონტროლის მექანიზმები და შესაბამისი მონიტორინგის ინსტრუმენტები კომპანიაში;
- ხელი შეუწყოს დაინტერესებული მხარეების ნდობის განმტკიცებას, კომპანიის მმართველობის, გადაწყვეტილებების მიღებისა და ანგარიშვალდებულების პროცესების მიმართ.

მამხილებლის პოლიტიკა და დარღვევების მართვა

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" ემხრობა ღიაობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს საქმიანობის განხორციელების პროცესში. კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის, კონტრაქტორებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლებლობას, უსაფრთხო და არა-რეპრესიული გარემოს პირობებში აცნობონ შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს შესაძლო სამართლებრივი, ეთიკური ან მარეგულირებელთან შეუსაბამობის ხასიათის დარღვევების შესახებ. კომპანია აღიარებს მამხილებლის მნიშვნელობას, ორგანიზაციული მთლიანობისა და შესაბამისობის დაცვის პროცესში და იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს შესაბამისი მექანიზმები მსგავსი შეტყობინებების კონფიდენციალურად მიღებისა და სათანადო რეაგირებისათვის.

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" მოქმედებს საქართველოს შრომისა და ანტიკორუფციული კანონმდებლობის ფარგლებში და სრულად უზრუნველყოფს მასთან შესაბამისობას. იმ საკითხები, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობა არ არეგულირებს, კომპანია იყენებს საერთაშორისო მოწინავე პრაქტიკასა და აღიარებულ სტანდარტებს, მამხილებლის დაცვის ეფექტიანი მექანიზმების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული მექანიზმები ინტეგრირებულია კომპანიის მიერ მართულ საკომუნიკაციო არხებში და წარმოადგენს საჩივრების განხილვის ფორმალიზებული სისტემის ნაწილს. აღნიშნული სისტემა მიზნად ისახავს პოტენციური სამართლებრივი, ეთიკური ან მარეგულირებლისადმი ხარვეზების დროულ იდენტიფიცირებას და სათანადო რეაგირებას, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების სამართლებრივი დაცულობის პირობებში.

შიდა შეტყობინების არხებია:
კომპანია დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს რიგ ხელმისაწვდომ საკომუნიკაციო არხებს საკუთარი აზრისა და შეშფოთების დასაფიქსირებლად:

- დირექტორი ან უშუალო ხელმძღვანელი;
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი;
- ანონიმური საჩივრების მექანიზმი, რომელიც განთავსებულია სადგურში;
- ელექტრონული ფოსტა ან სატელეფონო არხი შესაბამის პერსონალთან;
- კომპანიის ვებგვერდზე განთავსებული ონლაინ ფორმა

მამხილებლის დაცვა
შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" სრულად უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის დაცვას. კომპანია იცავს მამხილებლებს და ზღუდავს მათ მიმართ ყოველგვარ უსამართლო მოპყრობას. შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის დაცვას. კომპანიისთვის მიუღებელია ანგარიშსწორება მათ მიმართ, ვინც კეთილსინდისიერად ავლენს შესაძლო სამართლებრივი, ეთიკური ან მარეგულირებელი მოთხოვნების დარღვევას.

მამხილებლები, მოწმეები და ყველა ის პირი, ვინც მსგავს განცხადებას აკეთებს, სარგებლობენ კომპანიის მხრიდან სრული დაცვით. ნებისმიერი ქმედება, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ანგარიშსწორება, მათ შორის ზეწოლა, დისკრიმინაცია ან არასასურველი მოპყრობა, განიხილება, როგორც კომპანიის პოლიტიკის სერიოზული დარღვევა და შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობა, მათ შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

ანგარიშგებისა და შემდგომი გამოძიების პროცესის განმავლობაში სრულად უზრუნველყოფილია კონფიდენციალურობის დაცვა. მამხილებლის იდენტობა არ იდენტიფიცირდება მისი თანხმობის გარეშე. თუმცა შესაძლოა დადგეს ისეთი მოცემულობა, როდესაც კონფიდენციალურობის გასაჯაროება სავალდებულოა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" ემხრობა ანგარიშგების პროცესში ისეთ სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, რომელიც დაფუძნებულია პატივისცემის, მხარდაჭერისა და არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპებზე, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე

წახალისებულია, კეთილსინდისიერად განაცხადოს დარღვევების შესახებ ყოველგვარი შიშის ან შესაძლო ზეწოლის გარეშე.

ერთდროულად, ორგანიზაცია მკაცრად გმობს ანგარიშგების არხების არასათანადო გამოყენებას. შეგნებულად მცდარი, ცილისმწამებლური ან ბოროტი ზრახვით გაკეთებული განცხადება ჩაითვლება კომპანიის შიდა დებულებების სერიოზულ დარღვევად და გამოიწვევს შესაბამის დისციპლინურ რეაგირებას, შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს ქცევის კოდექსისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად.

მოკვლევა და შემდგომი რეაგირება

თითოეული საჩივარი ექვემდებარება დროულ, ობიექტურ და მიუკერძოებელ გამოძიებას, რომელსაც ახორციელებს კომპანიის დირექტორი, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი ან კომპანიის მიერ დანიშნული სხვა უფლებამოსილი პირი. საჩივრებით გათვალისწინებული გარემოებები, რომლებიც შესაძლებელია გავლენას ახდენდეს კომპანიის ოპერაციებზე, რეპუტაციასა ან შესაბამისობის მდგომარეობაზე არსებითი ფორმით, განიხილება დირექტორთა საბჭოს დონეზე, ორგანიზაციული ჩარევის მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად.

გამოძიების პროცესის დასრულების შემდგომ, მიღებული დასკვნების საფუძველზე, ხორციელდება შესაბამისი მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებები. დარღვევებისა და რეაგირების ზომების შეჯამებული ინფორმაცია აისახება კომპანიის ყოველწლიურ გარემოსდაცვითი, სოციალურ და მმართველობით ანგარიშში, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ინსტრუმენტები და რესურსები

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებას მამხილებელთა უფლებების, შიდა საკომუნიკაციო არხებისა და ანგარიშგების პროცედურების შესახებ. შესაბამისი ტრენინგი ტარდება თანამშრომლის დასაქმების საწყის ეტაპზე და განახლებული სახით იმეორებს ყოველწლიურად ყველა თანამშრომლისთვის.

კომპანიის ვებგვერდზე ფუნქციონირებს უსაფრთხო ციფრული პლატფორმა, რომელიც თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, ანონიმურად მიაწოდონ ინფორმაცია შესაძლო დარღვევების შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნად ისახავს დაცვის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ანგარიშგების პროცესის მხარდაჭერას, კეთილსინდისიერი ქცევის წახალისებას და არხების ეფექტიან გამოყენებას.

ინფორმაციული უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" ახორციელებს ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დანერგვას და იღებს ყველა შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომას პერსონალური მონაცემების, კომერციული საიდუმლოების, აგრეთვე მომსახურების პროცესებთან დაკავშირებული სენსიტიური ინფორმაციის ხელ მიუწვდომლობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

კომპანიის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს, და ეფუძნება იმ საერთაშორისო სტანდარტებსა და პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრულია ევროკავშირის ზოგადი მონაცემთა დაცვის რეგლამენტით. აღნიშნული პრინციპები ინტეგრირებულია შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს შიდა რეგულირებაში, პოლიტიკებსა და პროცედურებში.

მამხილებლების, მოწმეებისა და სხვა ინფორმაციის გამცემი პირთა იდენტიფიკაციის მონაცემები ექვემდებარება კონფიდენციალურობის დაცვას და არ ექვემდებარება გამჟღავნებას მათ მიერ წინასწარ გაცემული ინფორმირებული თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონმდებლობით პირდაპირ არის დადგენილი გამჟღავნების ვალდებულება.

კომპანიის მიერ მართული შიდა პლატფორმები და კომუნიკაციის არხები უზრუნველყოფილია შესაბამისი კიბერ-უსაფრთხოების მექანიზმებით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხო დამუშავებას, გადაცემას და შენახვას, და იცავს მას უნებართვო წვდომის, არასანქცირებული გამჟღავნების ან დაკარგვის რისკებისაგან.

პერსონალური მონაცემების სუბიექტის კანონით დაცული უფლებები
საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თითოეულ პირს, რომლის პერსონალური მონაცემები მუშავდება, გააჩნია შემდეგი უფლებები:

- მოითხოვოს წვდომა საკუთარი პერსონალური მონაცემების შესახებ არსებულ ინფორმაციაზე;
- მიიღოს განმარტება იმ სამართლებრივი საფუძვლის შესახებ, რომლის ფარგლებში ხდება მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება;
- მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა მოპოვების წყაროსა და იმ პირების შესახებ, ვისთანაც მოხდა მონაცემების გადაცემა;
- მოითხოვოს პერსონალური მონაცემების გასწორება, განახლება, დაბლოკვა ან წაშლა იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არაზუსტია, არასრულია ან მუშავდება კანონის დარღვევით.

საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად, თითოეულ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს შპს “ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი”-ს მიერ დამუშავებული საკუთარი პერსონალური მონაცემების ასლის გადაცემა.

მიუხედავად წაშლის მოთხოვნის წარდგენის უფლების არსებობისა, კომპანიისთვის შეიძლება კანონით დადგეს ვალდებულება, შეინახოს გარკვეული კატეგორიის პერსონალური მონაცემები განსაზღვრული ვადით. აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს კანონიერი ინტერესებისა და მარეგულირებლის მოთხოვნების შესრულების მექანიზმს და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა საგადასახადო სამართალი, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის რეგულაციები და დარგობრივი ზედამხედველობის ჩარჩოები.

დამუშავებული მონაცემების ტიპები
შპს “ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი” აგროვებს და ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს შემდეგ კატეგორიებში:

მონაცემთა კატეგორია	**მაგალითები**
საკონტაქტო მონაცემები	სახელი, საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი
ფინანსური მონაცემები	საბანკო ანგარიშის ნომერი, გადარიცხვებთან დაკავშირებული ინფორმაცია
საკონტაქტო მონაცემები	შპს “ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი”-სთან დადებული ხელშეკრულებები და მომსახურების ისტორია
ქცევითი მონაცემები	მონიტორინგის სისტემებთან ოპერატორის ურთიერთქმედების ანალიზი, სხვადასხვა მოწყობილობის გამოყენების ტენდენციები, ხშირად გამოყენებული მონაცემთა წერტილების იდენტიფიცირება — პერსონალური ქცევის შაბლონების დასადგენად
ტექნიკური მონაცემები	მოწყობილობისა და ბრაუზერის ტექნიკური მონაცემები, სისტემაში შესვლის ჩანაწერები
საკომუნიკაციო მონაცემები	ელექტრონული წერილები, სატელეფონო საუბრები, წერილობითი კომუნიკაცია
დოკუმენტური მონაცემები	პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგალითად: პირადობის მოწმობა, პასპორტი)
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები	სამედიცინო ან სხვა სენსიტიური ხასიათის ინფორმაცია, რომელიც მუშავდება მხოლოდ წერილობითი თანხმობის საფუძველზე ან შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით

პირები, რომლებიც კომპანიას აწვდიან მესამე პირის მონაცემებს (მაგალითად: ოჯახის წევრების ან თანამშრომლების მონაცემებს), ადასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება აღნიშნული მონაცემების გასაცემად და იღებენ პასუხისმგებლობას მათი გადაცემის კანონიერებაზე.

ვიდეო მონიტორინგი
შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" ახორციელებს ვიდეო მონიტორინგს განსაზღვრულ ობიექტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ოპერაციული პროცესების კონტროლისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვის მიზნით.

ვიდეო მონიტორინგის ზონებში განთავსებულია მკაფიო და ადვილად აღსაქმელი ნიშნები, რაც მონაცემთა სუბიექტებს წინასწარ აწვდის ინფორმაციას მონიტორინგის განხორციელების შესახებ. ვიდეო მონიტორინგის განხორციელების პრაქტიკა ეფუძნება პროპორციულობის პრინციპს და სრულად შეესაბამება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

პერსონალური მონაცემების შენახვა და აღნიშნული მონაცემების შენახვის ვადები
პერსონალური მონაცემები ინახება დაცულ გარემოში და მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნებისათვის, ან შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულებისთვის. შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" მონაცემთა შენახვის, წვდომისა და წაშლის პროცედურებს ახორციელებს შიდა რეგულაციებით დადგენილი პოლიტიკის შესაბამისად, რაც ეფუძნება სამართლებრივ საფუძვლებსა და ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის პრინციპებს:

- მონაცემები ექვემდებარება შენახვას მხოლოდ იმ პერიოდში, რაც განსაზღვრულია მათი დამუშავების მიზნიდან და გამოყენებული სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე;
- მონაცემებზე წვდომა ნებადართულია მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამშრომლებისთვის, თანახმად კომპანიის შიდა წვდომის წესებისა და როლზე დაფუძნებული დაშვების პოლიტიკისა;
- შენახვის ვადები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და კომპანიის შიდა მმართველობითი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს კანონიერი ვალდებულებების შესრულებას და მონაცემთა ზედმეტი შენახვის თავიდან აცილებას;
- როგორც კი მონაცემთა დამუშავების მიზანი შესრულდება ან მათი შენახვა აღარ არის საჭირო, კომპანია უზრუნველყოფს მათი უსაფრთხო განადგურებას, ანონიმურობას ან დაარქივებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შემდგომი შენახვა დასაბუთებულია მოქმედი სამართლებრივი საფუძვლით.

კიბერუსაფრთხოების ზომები
შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" ახორციელებს კიბერ-უსაფრთხოების ერთიან და სტრუქტურირებულ პროგრამას, რომლის მიზანია პერსონალურ და ოპერაციულ მონაცემებზე უნებართვო წვდომის, მათი დაკარგვის, არასანქცირებული გამოყენების ან შეცვლის პრევენცია. პროგრამა ეფუძნება რისკზე დაფუძნებულ მიდგომას და განხორციელებულია ტექნიკური და ორგანიზაციული საშუალებებით სანდო მესამე მხარის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების მიმწოდებელთან კოორდინაციით. კიბერუსაფრთხოების პროგრამა მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- წვდომის მართვის პოლიტიკა: მრავალდონიანი ავტორიზაციისა და როლზე დაფუძნებული წვდომის მოდელების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს მონაცემებზე წვდომის შეზღუდვას მხოლოდ უფლებამოსილი პერსონალისთვის;
- ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურის უწყვეტი მონიტორინგი: მავნე აქტივობების ადრეული იდენტიფიკაცია და რეაგირების პროტოკოლების განხორციელება;
- მონაცემთა დაშიფრვა: მონაცემების როგორც გადაცემის, ისე შენახვის ეტაპებზე, მათი კონფიდენციალურობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად;
- მავნე კოდის საწინააღმდეგო და ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება: სისტემური მთლიანობის დასაცავად;
- სისტემური სარეზერვო და მონაცემთა აღდგენის სტრატეგიები: კრიტიკული ინციდენტების შემთხვევაში ოპერაციული უწყვეტობის უზრუნველყოფა;
- თანამშრომელთა რეგულარული ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების პროგრამები: კიბერუსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკებზე ინფორმირებულობის გაზრდა.

კონფიდენციალურობის სისტემები და პროცედურები

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" ახორციელებს კონფიდენციალურობის დაცვის სტრუქტურირებულ და პროაქტიულ პოლიტიკას, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონმდებლობას და ეფუძნება აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის — ევროკავშირის ზოგად მონაცემთა დაცვის რეგულაციას (GDPR), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესრულების პირველ სტანდარტს „გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზეგავლენების შეფასებისა და მართვის შესახებ" და გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) 418-ე სტანდარტს „კლიენტის კონფიდენციალურობა" (2016).

კომპანია უზრუნველყოფს, რომ პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და განადგურება ხორციელდება მკაფიოდ დადგენილი და ფორმალიზებული პროტოკოლების შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური უფლებების დაცვას, კონფიდენციალურობის მაქსიმალურ ხარისხს და მონაცემთა უსაფრთხოებას კომპანიის ოპერირების ყველა ეტაპზე.

კონფიდენციალურობის დაცვის მექანიზმები ინტეგრირებულია შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს ოპერირების ყოველდღიურ პროცესებში შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:

- **მონაცემთა** შემცირება — კომპანია აგროვებს და ინახავს მხოლოდ იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც უკიდურესად აუცილებელია სამართლებრივი, ოპერირების ან შესაბამისობის მოთხოვნების შესასრულებლად;
- **როლებზე დაფუძნებული წვდომის კონტროლი** — პერსონალურ და სენსიტიურ მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია მხოლოდ იმ უფლებამოსილი პირებით, რომელთა სამსახურებრივი ფუნქციები მოითხოვს აღნიშნულ წვდომას;
- **თანხმობა და სამართლებრივი საფუძველი** — სენსიტიური ან სპეციალური კატეგორიის მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" უზრუნველყოფს პირის ინფორმირებულ თანხმობას ან მკაფიოდ აფიქსირებს შესაბამის სამართლებრივ საფუძველს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- **პერსონალურ მონაცემების შესახებ დარღვევის რეაგირების პროტოკოლი** — პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს შიდა ესკალაციისა და შეტყობინების პროცედურას, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში დროულად აცნობებს შესაბამის ზედამხედველ ორგანოებს;
- **აუდიტი და ანგარიშვალდებულება** — პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესი დოკუმენტირებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა, კვალიფიციური მონიტორინგის შესაძლებლობა და უწყვეტი ზედამხედველობა.

აღნიშნული დაცვის მექანიზმებზე ზედამხედველობას ახორციელებს შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების კანონიერად, უსაფრთხოდ და მოქმედი სტანდარტების შესაბამისად დამუშავების უზრუნველყოფაზე. კონფიდენციალურობის ყველა ღონისძიება ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას, რათა შენარჩუნდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობა და უზრუნველყოფილი იყოს ოპერირების რისკების ეფექტიანი მართვა.

კლიენტების კონფიდენციალურობა და გარე დაინტერესებული მხარეების შესახებ ინფორმაციის დაცვა

მიუხედავად იმისა, რომ შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" არ ახორციელებს მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების ფართომასშტაბიან დამუშავებას, კომპანია გარკვეულ შემთხვევებში აგროვებს და ამუშავებს შეზღუდული მოცულობის პერსონალურ ან ორგანიზაციულ მონაცემებს იმ კლიენტებისგან, რომლებიც ყიდულობენ კომპანიის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას, ასევე ბიზნესპარტნიორებისა და სხვა გარე დაინტერესებული მხარეებისგან. მონაცემების შეგროვება და დამუშავება ძირითადად ხორციელდება

ხელშეკრულებითი ურთიერთობების, ელექტრონული მიმოწერის, ვებგვერდის საკონტაქტო ფორმების, ასევე საჩივრებისა და შეტყობინებების განხილვის მექანიზმების მეშვეობით.

აღნიშნული ინფორმაციის კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი მართვის უზრუნველსაყოფად, შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" იღებს შემდეგ ვალდებულებას:

- მხოლოდ იმ მონაცემების შეგროვება, რომლებიც აუცილებელია კომუნიკაციისათვის, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;
- კომპანიის შიდა მონაცემთა დამუშავებისათვის დადგენილი დაცვის მექანიზმების გავრცელება, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, წვდომის მკაცრი შეზღუდვა და უსაფრთხო შენახვის პროტოკოლების დაცვა;
- კლიენტებისა და გარე დაინტერესებული მხარეების მონაცემების მესამე პირებთან გაზიარების თავიდან არიდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი ან სახელშეკრულებო საფუძველი;
- მონაცემთა სუბიექტებისთვის, მათ შორის კლიენტებისთვის, უფლების უზრუნველყოფა, გამოითხოვონ ინფორმაცია მათი პერსონალური მონაცემების შესახებ, განაახლონ ან მოითხოვონ მათი წაშლა, საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონთან სრული შესაბამისობით;

კლიენტებისა და დაინტერესებული მხარეების ყველა მონაცემი მუშავდება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნდობის, გამჭვირვალობისა და მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობის დაცვა, რაც ხელს უწყობს გრძელვადიანი ბიზნეს ურთიერთობებისა და პასუხისმგებელი პროექტების ოპერირების უზრუნველყოფას.

მესამე მხარეებთან თანამშრომლობა და მონაცემთა დაცვა

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" გარკვეულ შემთხვევებში თანამშრომლობს გარე პარტნიორებთან, მათ შორის ტექნიკურ კონსულტანტებთან, აუდიტორთან და მომსახურების მიმწოდებლებთან, რომელთაც დავალებების შესრულების პროცესში შესაძლოა მიეცეთ წვდომა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ შეზღუდული მოცულობის ინფორმაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" არ იყენებს კერძო უსაფრთხოების მომსახურებას და უსაფრთხოების მართვის მიზნით ეყრდნობა საქართველოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს (112) კომპანიის თითოეული ნაგებობა აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო (CCTV) სისტემებით. აღნიშნული სისტემების ადმინისტრირება ხორციელდება საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის სრული დაცვით და გამოიყენება მხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ოპერირების უწყვეტობის შენარჩუნებისა და კანონთან შესაბამისობის მიზნებისთვის.

ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გარე მხარეს შესაძლოა მიენიჭოს წვდომა კონფიდენციალურ ან სენსიტიურ მონაცემებზე, შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" მომსახურების ხელშეკრულებაში ასახავს კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის მკაფიო მოთხოვნებს. ასეთი ხელშეკრულებები, მათ შორის ძირითადი მომსახურების ხელშეკრულებები (Master Service Agreements – MSA), გამოიყენება კონსულტანტებთან, ტექნიკურ ექსპერტებთან ან სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობის სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრისათვის, რომლებიც კომპანიის საქმიანობას პროექტის ფარგლებში ან მუდმივ საფუძველზე უჭერენ მხარს. მონაცემთა პასუხისმგებლიანი მართვის უზრუნველსაყოფად, მსგავს თანამშრომლობის ფორმატებში შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- კომპანიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა ჩაითვალოს კონფიდენციალურად და განაწილდეს მხოლოდ იმ პირებთან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მომსახურების გაწევის პროცესში;
- თანამშრომლობის ფარგლებში გაზიარებული ნებისმიერი მონაცემი, იქნება ეს დოკუმენტი, მიმოწერა თუ სისტემებზე წვდომა, უნდა დამუშავდეს უსაფრთხოდ;

- ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც უკავშირდება უნებართვო წვდომას, მონაცემთა დაკარგვას ან არასწორ გამოყენებას, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს;
- კომპანიის მოთხოვნის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებლებმა უნდა დაადასტურონ, რომ აქვთ მოქმედი შიდა დაცვის მექანიზმები, რომლებიც შეესაბამება კომპანიის მონაცემთა დაცვის სტანდარტებსა და მოლოდინებს.

აღნიშნული პრაქტიკები უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის, ნდობისა და შესაბამისობის დაცვას ყველა იმ მესამე მხარესთან ურთიერთობაში, რომლებიც მხარს უჭერენ შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს უწყვეტ ოპერირებასა და მდგრადობის მიზნების მიღწევას.

ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" ხელს უწყობს ძლიერი შესაბამისობის კულტურის ჩამოყალიბებას სავალდებულო წლიური ტრენინგების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა მამხილებელთა დაცვა, ანტიკორუფციული სტანდარტები და მონაცემთა დაცვა. ყველა თანამშრომელი, მათ შორის ახალი დანიშნულები და კონტრაქტორები, ვალდებულნი არიან გაიარონ აღნიშნული მოდულები. ტრენინგების განახლება ხორციელდება კომპანიის პოლიტიკის ცვლილებების ან შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების განახლების შემთხვევაში.
ტრენინგები ტარდება შიდა სემინარებისა და დისკუსიების ფორმატში. მონაწილეთა უკუკავშირი აქტიურად გამოიყენება შინაარსის გაუმჯობესებისა და მისი აქტუალობის უზრუნველსაყოფად.

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი""-ს დირექტორი პასუხისმგებელია ტრენინგის ეფექტიანად განხორციელების და მისი ორგანულად ინტეგრირების უზრუნველყოფაზე შესაბამისობისა და რისკების მართვის კომპანიის სტრატეგიაში.

შესაბამისობის პოლიტიკის ყოველწლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისო დონეზე აღიარებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრაქტიკების და სტანდარტების შესაბამისად, შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" ყოველწლიურად ახორციელებს შესაბამისობის პოლიტიკის სრულმასშტაბიან გადახედვას წლის ბოლოს. ეს სისტემური გადახედვა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი, უზრუნველყოფს, რომ ჩვენი განცხადებები ზუსტად ასახავს მიმდინარე შეფასებებს, შესრულების მაჩვენებლებსა და ოპერაციულ პრაქტიკებს. თუ გადახედვის პროცესში განხორციელდება ცვლილებები, განახლებული დოკუმენტაცია გადის დეტალურ დამტკიცების პროცედურას. საწყის ეტაპზე, შემოთავაზებული ცვლილებები ყურადღებით განიხილება და დამტკიცდება კომპანიის დირექტორის მიერ. შემდგომში, გადახედილი დოკუმენტი გადაეცემა კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და მდგრადობის ხელმძღვანელს საბოლოო დამტკიცებისათვის, რათა უზრუნველყოს, რომ თითოეული ცვლილება შეესაბამება ჩვენს ხარისხის, გამჭვირვალობისა და რეგულაციების შესაბამისობის ვალდებულებებს. დირექტორთა საბჭოს წევრები ინფორმირებულნი არიან ცვლილებების შესახებ, რაც აძლიერებს ჩვენს ერთგულებას მაღალი საერთაშორისო გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტანდარტების დაცვის მიმართ.
განახლებული ვერსია იტვირთება კომპანიის ვებგვერდზე, ხოლო წინა ვერსია რჩება ხელმისაწვდომი საიტის არქივის საქაღალდეში.